

რედაქცია

მოღონის (აბას-აბატის) მედნაზე, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ღირსი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გაზეთის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ცუხულს ენებზე.

განცხადების ღირსი

ღიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფრით, სტრიქ. — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა და ლუბექული სტატია ავტორს არ დაუბრუნდება!

საქართველო

ქველშეური ამბები

შელტონების მოყვარული ჩვენს მკითხველებს დღევანდელს „დროებაში“ ორი ძველებური კაცის ამბავს წაიკითხვენ.

ეს არის მოხუცებულებისაგან გაგონილი, ხალხის გარდამონაცემით შენახული ამბავი; და ამიტომ, რასაკვირველია, ძალიან ადვილად შეიძლება, რომ ყოველივე იმაში მოყვანილი ფაქტი ისტორიული ფაქტი და ჭეშმარიტება არ იყოს.

ამგვარ ამბებს ყოველთვის რომელიმე საფუძველი აქვს; ხშირად იმაში იხატება ნამდვილი ისტორიული მოვლენა და ფაქტი. მაგრამ შეუცვლელად ამგვარი გმირული ამბები და ისტორიული მოთხრობანი თითქმის ვერასოდეს ვერ გადავა ერთი შთამბეჭობიდან მეორეს ხელში. ხალხის ოცნება და წარმოდგენა უთუოთ ცოტა რასმე მოუმატებს მამებისაგან გაგონილ ამბებს, ცოტას გააზიადებს, ერთს ომში ისეთს შემთხვევებს ასწერს და იმდენ მტერს მოჰკლავს, რამდენიც იქნება ათს ომშიაც არ მომხდარიყოს; ერთს თავის გმირს ისეთს ამბებს მიაწერს, რომელიც ასს არ ჩაედინოს.

ჩვენ მაგდენათ არც კი დაესდეთ, რომ ამგვარ მოთხრობებში მანცა და მანც ნამდვილი ისტორიული ფაქტი იყოს აწერილი. იმ შემთხვევაში, რომელიც მოსახრებით ხელმძღვანელობთ, რომ ყოველ ხალხის გარდამონაცემს უქველად რომელიმე

ს. ფუძველი აქვს და ამიტომ შეიძლება ამ მოთხრობებს ცოტაოდენი მანც ისტორიული მნიშვნელობაც მიეცეს.

მაგრამ ჩვენ უფრო-სხვა ჰაზრით ვებეჭდეთ და დაებეჭდეთ ამისთანა ძველებურ ამბებს:

ძარგათ თუ ავთ ამგვარ გადმონაცემებში ჩვენს წინაპრების ზნეობითი მხარე, ვაჟკაცობა, სულგრძელება და ერთის სიტყვით, იმათ ცხოვრება და ხასიათი იხატება. იხატება ისეთი თვისებანი ძველი ქართველების ხასიათისა, რომლის წყალობითაც ერთი მუჟა ხალხი ურაცხვ მტერს გამაგრებია, რომელშიაც სჩანს ერთმანეთის ძმური დახმარება გაჭირებაში, სარწმუნოებისა და სამშობლოს ერთგულება, დამოუკიდებლობის სიყვარული.

ძარგია, მგონია, ჩვენთვის — ახლანდელი ქართველებისათვის, ხანდისხან ჩვენს წინაპრების ამგვარი ხასიათების მოქმედების გახსენება..:

ამისთვის უმორჩილესად ესთხოვთ ყველას, ვინც ამისთანა „ძველებური ამბები“ იცის, ესთხოვთ განსაკუთრებით მოხუცებულებს, რომელთაც ასე უყვართ წარსული დროების მოგონება, რომ შემდეგი შთამომავლობისათვის ნუ დაკარგვენ, გვიანონ, რაც იციან, მოგვითხრონ ჩვენი მამაპაპის ცხოვრება.

ნურაგის შეაზინებს ის გარემოება, რომ იმათი ნამბობი დასაბეჭდათ იქნება გამოგზავნილი და მასხადამე ნაწერს ლიტერატურული ფორმა უნდა მიეცეს. ხშირად უბრალო, მარტივი მოთხრობა უფრო ღრმა შთაბეჭდი-

ლებას მოახდენს მკითხველზე, უფრო ძვირფასია, ვიდრე ხელოვნურად დარეცარიკის კანონებით დამზადებული.

მაშ ვგრე: გამოგზავნეთ, გვიამბეთ ჩვენი წინაპრების გმირული ცხოვრება! ბევრება: ბურჟუაზული მართლდება ერთობ ღრმა ფესვებს იკეთებს ახლანდელი ქართველი კაცის გულში...
ს. მესხი

დღიური

□ ძალიან ვწუხვართ, რომ ამ ჯამად, უადგილობის გამო, ჩვენ ვერ ვებეჭდეთ დღევანდელ ნომერში უფ. ალექსანდრე ზუბალოვის მშენებელ სტატიას, რომელიც შალაქში წყლის გაყვანას შეეხება და რომელიც „თეილისის მოამბის“ უკანასკნელს მე-53 ნომერშია დაბეჭდილი. მეცდებით, რომ ერთ შემდეგ ნომერშიაგანში, სრულიად თუ არა, ზოგიერთი ადგილები მანც გადმოვთარგმნოთ ამ სტატიისა. ახლა კი ორიოდ სიტყვით იმის შინაარსს გაეცნობთ მკითხველს:

უფ. ა. ზუბალოვი მარტო შიგ შალაქში წყლის გაყვანას არ სჯერდება: ის ამტკიცებს და ამტკიცებს სრულის საფუძველით, რომ თვითონ შალაქის აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ წყალი შალაქის გარემო ალაგებში იყვეს გაყვანილი. შალაქის გარეშე ალაგები უდაბნო, უტყეო, დაწვარი ალაგებია, და ამის გამო ზაფხულობით, ოთხისთვის განმავლობაში, აქ ცხოვრება

გასაჭიროა; მცხოვრებლების ჯანმთელობა მოითხოვს, რომ ეს ადგილები მცენარეებით შეიმოსოს, ამწვანდეს და გაცხოველდეს.

შემდეგ ამბობს, რომ ამოსაწევი მაშინებით წყლის გაყვანა შალაქისთვის ძალიან მოუხერხებელი იქნება, მცხოვრებლებს არ შეუძლიანთ ზომით იხმარონ წყალი და ვედროებით იხადონ იმის ფასი. ამგვარად წყლის გაყვანა შალაქს ძვირათაც დაუჯდება.

უფ. ზუბალოვი წინააღმდეგია აგრეთვე იმ ჰაზრისა, რომ უცხო ვინმე პირს ან კამპანიას მიანდოს შალაქს ეს საქმე; ის ამბობს, წყალი ისეთს საჭიროებას შეადგენს მცხოვრებლებისთვის, რომ უთუოთ შალაქის საკუთრება უნდა იყოს, შალაქმა თავის ხარჯით უნდა გამოიყვანოს.

თვითონ წინადადება უფ. ზუბალოვისა იმაში მდგომარეობს, რომ არაგვიდამ გამოიყვანონ წყალი მილებით. თუ პარიჟში თითქმის 150 ვერსიამ (მანის მდინარიდამ) არის გამოყვანილი წყალი, რატომ თუნდა ისევე კამპანია ჩვენში არაგვიდამ ვერ მოახერხებს წყლის გამოყვანას. ამნაირად შალაქიც სამუდამოთ და უკეთ დაკმაყოფილებული იქნება და იმის გარეშე ადგილების გაცოცხლებასაც მოვესწრობით.

ძლიერ სასურველია, რომ ამ ორიოდ სიტყვით აქ მოყვანილ უფ. ა. ზუბალოვის განიერულ წინადადებას შალაქის ახლანდელი გამგეობამ გეროვანი ყურადღება მიაქციოს.

□ მანჯილამ (მლისავეტროპოლიდამ) გეწერენ, რომ რკინის გზას გაყვანის თაობაზე იქ ინჟინერი ყო-

ფელტონი

ქველშეური ამბები

დათუნა ბოცირიძე

მრთხელ დადიანმა იმერეთის მეფეს ხოლომონ მეორეს ნებიერი მოუძღვნა. მტყობა, რომ საიასალო რამ ყოფილა, თორემ მცირე რამეს, თუ არ შესანიშნავს, მთავარი და მეფე ერთმანეთს არა ჰკადრებდენ.

იმერეთის მეფე მაშინ ბეგუთს ბრძანდებოდა და კარის კაცებიც თან ახლდა; მათს რიცხვში რაჭველი აზნაური დათუნა ბოცირიძეც იყო, რომელიც იმ დროში პირველ ხრმლის მცოდნეთ ირიცხებოდა და მართლაც მის ხრმალს ძნელათ რამ გაუმაგრდებოდა.

მეფემ იმ დამეს დათუნას ნამალევიდ გააძრახა მრისთავი, რომ დამე

მძინარ დათუნასთვის როგორმე მოეპარათ ხრმალი, დაებლაგათ (დაეჩლუნგათ) მისი პირი და მერე ისევე ჩაეგოთ ქარქაშში.

მეფის ბრძანება რომ უნდოდა, ისე მოიყვანეს სისრულეში.

დიდას ადრე მეფე ცაცხვის ძირში დაბანდა, კარის კაცები გარს ეხვივნენ. ბრძანა, რომ დადიანის მორთმეული ნებიერი გამოეყვანათ. გამოიყვანეს. მეფემ ცბიერობით გადახედა ბოცირიძეს და იკითხა:

— ნეტავი თუ ვინმე იყოს აქ მისთანა მოხრლმე, რომ ერთის შემოკვრით ამ ნებიერს თავი გააგდებოს?

— შევლამ უარი მოახსენა მეფეს და დათუნა ბოცირიძემ, კი გაკვირვებით და ღიმილით შეხედა.

— რას იტყვი, ჩემო დათუნო? ჰკითხა მეფემ.

— ბატონო მეფე, ნუ გამირისხდებით და მგონია, ხუმრობას ნებულობთ!

— როგორ თუ ხუმრობას?

— აბა, რომელი იქნება მისთანა ამ თქვენს მხლებელეებში, რომ ერთის შემოკვრით ნებიერს თავი ვერ გააგდებინოს? რაღა ვაჟ-კაცი იქნება ის, ვინც მაგას ვერ შეიძლებს? მერე და სხვა არა იყოს რა, მარტო ცოლისა ალარ შერცხვება, რომ ხელი მოუცდეს? რაღა პირით ეჩვენება?

— აი, მაგრამ ვერა ჰხედავ, რომ ყველა უარზედ დგას? და მასთანაც, ჩემო დათუნო, ადვილი კი ნუ გგონია! შენ რომ ძროხები გინახავს, მისთანა ხომ არ არის ეს ნებიერი?

— იმე, რაც უნდა იყვეს, შენი ჰკირიმე, გინდ ლომიც გახლდეს!

— მაშ შენ იკისრებ, რომ გააგდებინო თავი?

— შირისხდებით, ბატონო, და ვბარის..

— მრთის შემოკვრით?

— მრთის შემოკვრით, აბა, ბეგვას ხომ არ დაუწყებ!..

— და რომ ვერ გააგდებოთ თავი?

— იმე, მაშინ დათუნაც ალარ ვიქნები.

— აბა, ჰე, გამოგვარეთ ნებიერი! ბრძანა მეფემ და მოერია ღიმილი.

ნებიერი გამოიყვანეს და გააჩერეს. შეცრათ გაიელვა დათუნას ხრმალი: მოხედა კისერზედ, მაგრამ დახეთ დათუნას უზედურებას; ნებიერი ძირს დაეცა, მაგრამ სისხლიც ვერ გამოადინა: ხრმალს კანიც ვერ გაეჭრა მსხვერპლისათვის, თუმცა კისრის ძელები კი დაემტვრია და კისერი მოეწყვიტა..

ჯერ შეჰკრთა ბოცირიძე, მაგრამ ბოლოს მიხედა, რაც უხმანგეს; გასინჯა ხრმალი და გაბრაზებულმა დაიძახა:

— ამ ნებიერის თავ-ფეხი მის ცოლადედას, ვინც მე ეს მიხუმრია! და შეხედა მეფეს.

ამ სიტყვამ ყველა ააშფოთა.



ფოლა, შეუტრები მცხოვრებლები და უკითხავს: ბქვენ როგორ გსურთ: რკინის გზის სტანცია შაგ ქალაქში იყოს, თუ ქალაქ გარეთაო? ახირებული კითხვა! რასაკვირველია, უთქვამთ ქალაქში იყოს. 14 მაისს ეს ინჟინერი ბაქოსაკენ წასულა და, როგორც კორესპონდენტი გვწერს, ბაქოდამ ნუხისა და ძახეთისაკენ შემოპყვებიან გზის გასაყვან ადგილების გამოკვლევასაო.

□ მსევე ბანჯელი კორესპონდენტი გვწერს, რომ ამჟამად აქ მშენებნიერი ამინდი დგას პურის მოსაყვლისათვისა და წელს დიდ მოსაყვლს მოველითო.

□ უფ. თეოდ. ბანდელაკი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის „პროვინციალური წერილები“, რომელიც ამ წლის „დროების“ №№ 46 და 47-ში იყო დაბეჭდილი, იმას არ ეკუთვნის, იმას არ დაუწერია და არც იცის ვინ არის იმათი ავტორი. ამის გამოცხადებას იმიტომ ვთხოვთ, გვწერს უფ. ბანდელაკი, რომ იქ აწერილს ქალაქში ბორცვებმა—არ ვიცო, რა საფუძვლით—თავიანთი ქალაქი—ბორი იცნესო და ამის გამო ბევრი უსიამოვნება შემემთხვაო და შემდეგ შიაც უარესს მპირდებიანო.“

ჩვენის მხრით, ვაცხადებთ, რომ მართლაც ხსენებული კორესპონდენციები სრულებით უფ. თ. ბანდელაკის კალმის ნაწარმოები არ არიან, და ვის ეკუთვნიან—ამის მოთხოვის უფლება მხოლოდ უმაღლესს მთავრობასა აქვს.

საზოგადოთ ძალიან გვაკვირვებს ამგვარი შეუწყნარებლობა გორცვლებისა: თუ კორესპონდენტი მართლაც არა სწერს, რატომ არ გამტყუენებენ? მ ზეთის ფურცლები იმათთვის მზათა გვაქვს...

რიგიანი მოწინააღმდეგე მხოლოდ იმ იარაღს უნდა ხმარობდეს, რომლითაც იმის მტერი სარგებლობს...

□ ამას წინათ ქალაქში, მათრის მადანზე, რამდენსამე კაცს ვიდასა-

ცაგან ყველი უყიდნიათ და ყველა, ვისაც კი ეჭმა ეს ყველი, ავთ გამხდარიყვენ. ჩვენ გვოგეთ, რომ პოლიციას ამის თაობაზე გამოძიება დაუნიშნავს.

□ ამვერსავე შემთხვევას გვწერს თელაველი ჩვენი კორესპონდენტი: ამას წინათ იქაურ ქალებს პიკნიკი გაემართათ და ვისაც კი იმდღეს საზოგადო სუფრაზე ყველი ეჭამათ, ყველანი მოწამლულიყვენ, პირიდან საქმება დაეწყოთ და ძალიან ავთ გამხდარიყვენ.

□ ახალციხა-დამაც გვწერენ, რომ ერთ ქალს იქ მწენე საღებავით გაკეთებული კანფექტი ეჭამა და ისე ეწყინა, რომ კინაღამ მომკვდარიყო. ძი ბედი კიდევ, რომ ცოტა შეეჭამაო, თორემ, უჭკელია, მოკლაფდაო, ასე გვწერენ.

რალა თქმა უნდა, რომ პოლიცია ამ შემთხვევებს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და ეცდება, რომ შემდეგში ამის მგავსი არა მოხდეს რა...

□ ჩვენ მოგვივიდა მუთისი დამ აფაშა იმ ქართული წარმოდგენისა, რომელიც ამ თვის 25-ს არის დანიშნული. უნდა წარმოადგინონ მსტროვსკის კომედია „შემოსავლიანი ადგილი.“ აფაშიდამ სჩანს, რომ ამ წარმოდგენაში მუთათური საუკეთესო მოთამაშეები იღებენ მონაწილეობას.

„დროების“ კორესპონდენცია

ახალციხე, 17 მაისს

წარსული აპრილის ბოლო რიცხვებში, ქართული და რუსული სცენის მოყვარეთ წარმოდგენის ახალციხეში, აქაური უფასო საქალებო შკოლის სასარგებლოთ, ქართული და რუსული სპექტაკლი. მართლათ „სცენები საბ ტიმროში“ — აკაკისა და რუსულათ „Вдовая бабушка“ და „Жилецъ съ тромбонемъ.“

სამივე პიესების წარმოდგენა ძლიერ რიგიანათ წავიდა. საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა. ძმაყოფი-

ლების მიზეზი, გარდა პიესების რიგიანათ წარმოდგენისა, ისიც იყო, რომ პირველისა და მეორე პიესის წარმოდგენის შუა რამდენიმე კომიკური ლექსები მშენებრათ წაკითხვა უფ. ბარნოვიჩმა, რომლის სასიამოვნო კითხვა და წარმოდგენა ყოველთვის აგრე იზიდავს საზოგადოებას.

რადგანაც წარმოდგენისათვის საჭირო სახლები, როგორც ამის წინ, აგრეთვე ეხლა, უფასოდ ათხოვეს ამ კეთილ საქმისთვის აქაური სამხედრო კლუბის უფროსებმა, სპექტაკლის განკარგულება უფრო თავიანთ მიდიდა და სცენაც მზათ იყო; ამისათვის ხარჯი ამ წარმოდგენაზე იყო მხოლოდ 30 მანეთი. შემოსავალი კი—170 მანეთი და 55 კაპ.

ბორი, 18 მაისს

დღეს, 18 მაისს, გორცვებმა სადლი გაუკეთეს აქაურ და ახალქალაქის პოლკს. ჩინოვნიკებს პრუფოკში ჰქონდათ გამართული სადლი, სალდათებს კი დიდ ქუჩაზედ, სადაც წინ დღეებით გააწკრივეს სამ-სამ წყობათ, 100 საყენამდე სიგრძით, სტოლებივით ფიცრები *) წითელი ბიჩალებით მორთული.

მორმეტის ნახევარი იქნებოდა, რომ დააყენეს სალდათები რაზმათ. აქეთ და იქით თავში იღვა ქართველები ორი-სამი ზურნით და სიხარულით ალტაცებულები უკრავდნენ ზურნას... ამ დროს უ. უფროსმა მადლობა გამოუცხადა ბორის საზოგადოებას. ამის შემდეგ დაიწყეს სადლი. ჯერ ბორის საზოგადოების სადღევრძელო დალიეს და „ურა“! კარგ ხანს არ გაწყვეტილა. ამ სადლისთვის, როგორც ამბობენ, 20 კოდი პური გამოუტყვიათ, 100 ფუთი ხორცი, (60 ძროხისა, 40 ფუთი ცხვრისა), 500-მდე კვერცი, 30 თუმნის (?)

*) სამ დღეს შეკრეს მთელი დიდი ქუჩა ისე, რომ ფაეტანს ვაღა არ შექლო. ნეტი მინდვრები მაინც არ იყოს საკმაოდ, რომ შუაგულ ქუჩაში გამართეს ლხინი!...

დენო და არაყი, მწიქთანი და სხ. ფულები 1,900 მანეთზე შეკრებულსო, ამბობენ!

სადლი იქვე, მედანზედ გააკეთეს, სადაც ნელ-ნელა ჩუხჩუხებდნენ ქვებზედ ჩამომწკრიებული რუსული ქვაბები, და გამოსცემდნენ სხვა და სხვა საყნოელის დამ ტბობილს ორთქლს... მშენებრი სადლი ჰქონდათ; ყველაფერი საკმაოზე მეტო იყო. მხოლოდ არტილოერიის პოლკის ერთმა ბატარეამ უარი განაცხადა დაპატრებაზედ: ამოდენა ფულის ერთად შექმას ის არა სჯობიან. რომ რაც შეხვდება, ისე დაურეგოთ პოლკსა, ან სხვა სასარგებლო საქმისთვის გადაეღათო! უთქვამს...

საშინელი ბევრი ხალხი იყო შეგროებული ამ სადლის საცქერად.

მრთი ახირებული და სასაცილო ამბავი სცოდნიათ აქეთ, რომელიც ამის მეტად არ გაუგონია ჩემს ყურს და არ უნახავს ჩემს თვალს. ამ თეატრს მე ბორში დავესწარი გუშინ წინ: როცა გვალევა, ან ცოტა წვიმა მოდის, შეიკრიბებიან რამდენიმე (15—20) ქალები; ერთ მათგანს, თავიდან კოჭებამდი წყლით გაწუმპლულს, დიდ გობზედ მოაქვს ტალახით გაკეთებული კაცის—ლაზარეს—სახე; სხვები, ყველა ფეხშიშველა, უკნ მოპყვებიან და ერთ ხვად დასძახებენ:

ლაზარ მოდგა კარსა,
ბბრიალებს თვალსა.
ჩვენ არ გვინდა გორბი,
ჩვენა გვინდა ტალახი.
ლმერთო, დავნამე,
დავენამე, ლმერთო, დავნამეო და სხ.

მივლენ თითოეულ მოსახლისა, რომელიმეც ჯერ წყალი უნდა შეასხას ბლომათ იმას, რომელიც ლაზარე მოაქვს, და მერე ფული, ან ფქვილი უნდა აჩუქონ. როცა ამნაირად შეაგროებენ ფულებსა და პურის ფქვილს, გააკეთებენ სადლის „სადმროს“, დაპატრებენ მღვდელს, რომელიც აკურთხებს სადლს; და შემდეგ უთუოდ წვიმა უნდა მოვიდეს. ჩვენი როტონდა ჯერაც მაგრათ

შეიპყრეს დათუნა და მოუნდომეს გასამართლება ამ გვარის უბატურის სიტყვების გაბედვისათვის.

პრისთავი ბოცარიძის თვლების დათხრას ურჩევდა მეფეს, წერეთელი დაკირვას, წულუკიძე—ხელ-ფეხის დაყრევინებას და აგიაშვილი ვნის მოკროს. მეფემ მოისპინა ყველას ჰაზრი და შემდეგ თვითონ დასდვა შემდეგი განჩინება:

— ძაცს ჯერ ლმერთი უნდა უყვარდეს და მერე თვისი საკუთარი ხელობა. მაინც თავის გზას მტკიცედ არ ადგია და თავის ხელობაზედ თავს არ სდებს, ის საქმით ვერც მეფეს ასიამოვნებს და ვერც ქვეყანას არგებს რამეს. ის მხოლოდ ცარიელის სიტყვით, ე. ი. მლიქვნელობით იმოქმედებს და რადგანც დათუნა ბოცარიძის საკუთარი ხელობა ხმალი არის, ამისათვის იმან რომ მისთვის თავს გამოიდვას და მისის შეურაცხყოფის

დროს ჩვენი უკადრისი რამ გაბედოს, არ უნდა ეთვლებოდეს დანაშაულათ. მუ ამ ჩვენ ბატარა ქვეყანას მაგისტანა რაინდები არა ჰყვდეს, აქამდე იმ დიდის მტერებისაგან ასჯერ და ათა ჯერ ჩაყოლაული იქნებოდა. ბაუშეით, ნურაფერს აწყენინებთ ჩემს დათუნას, ჩემი ხალათი მაგასო!—ბოძნამეფემ და დაასჩუქრა ბოცარიძე.

მთია მესხი

მთია მეხი სახელგათქმული რაინდი იყო ძველათ. იმას ერთი დისწული ჰყავდა, ლეჩხუმელი ასათიანი, შვილივით გამოზდილი და საყვარელი. რაც კი იცოდა თვითონ რაინდული ხერხები, იმასაც აწავლა და კარგათ გაწრთნა. მრთხელ, როდესაც დადიანმა მეფეს ჩხუბი გამოუცხადა და ლეჩხუმიც დადიანს მიუდგა, მთიამ გაიხმო დისწული და უთხრა:
— შკილო, მეძნელება შენი მო-


შორება, მაგრამ რა ექნა, კაცისათვის ვალი ყველაზედ უპირველესი საქმეა: შენ ლეჩხუმელი ხარ და სადაც შენი მეზობლები და სახლი-კაცები არიან, შენც იქით უნდა იყო! რომ არ მოვსწრებოდით ამ დღეს, ხომ კარგი, მაგრამ რახან კი მოვესწარიო, აწ მეტი რალა გაეწყობა!

აკურთხა, გზა დაულოცა, გაატანა საგზალი და გაისტუმრა. როდესაც ჩხუბი გაიმართა, შეხვდა მთიამ, რომ ერთი ვილაც მხედარი გამოქცეული მიაქნებს ცხენს და იმას უკნ მისდევს ვილაც მეორე ცხენოანი, რომელიც ჰა თუ აკერ მიწედს და ჰა თუ არა—ისე უახლოვდება. დაუკვირდა და იცნო, რომ პირველი მისი მოხისხარი მტერი ჰაჭაშვილი იყო გამოქცეული ომიდამ და მეორე, უკან რომ მისდევდა, მისი დისწული—ასათიანი. ბულმა აღარ მოუთმინა და მიიძახა ასათიანს:
— ჩემო დისწულო, აქ პარაღობა

აღარ არი! ნუ დაივიწყებ, აქ ამხანაგობა არის და რომ არ მოვეხმარო ჰაჭაშვილს, არ შემიძლიან. არ მოკლა, თორემ ცუდათ გადაგიხდი! და ან რა საკადრიანია ვაჟ-კაცისათვის გაქცეული მტრის გამოდგომა!

არ დაუჯერა ომისაგან გაცხარებულმა ჰაბუკმა, მისწვდა ჰაჭაშვილს და წაკვეთა თავი. მ შინ მიეგება აქედამ მთია, შამოჰკრა ასათიანს ხმალი და შუა გასწყვიტა!..

— აკო გითხარ, ჩემო დისწულო, რომ აქ მხრის მიცემა არის და ამხანაგობა მეთქი?! ამ გვარად მთიამ აასრულა ამხანაგობას ვალი. მაგრამ იპავე ვალმა კი დაუწყულულა საუკუნოდ უკურნებლად იმას ფოლადის გული და კიდევ მიიყვანა საფლავის კარებამდე. ახლანდელი ჩემო მკითხველო, განა ახირებულები ყოფილან ჩვენი ძველები?!
აკაკი



დაკეტილი და დაბეჭდილია. მღირსები-
ან, რომ გახსნან, ფულებსაც აგრო-
ებენ (ხელს აწვრიანებენ რაღა), მაგ-
რამ ჯერ ვერ მოუხერხებიათ. ჯერ
მაინც აღრეა! როცა ზაფხული გა-
თავდება, მაშინ გახსნიან!...

თეოფ. ძანდელაქი

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი („დროება“ კორესპ.)
მადლობა ღმერთს! მხოლოდ მაინც ცო-
ტათი მოისვენებს ქვეყანა! სა მო-
წმინდა, შავმა ღრუბლებმა გადაიარეს,
ღობლობაცა და მიწურ-მოწურა მიწ-
ყნარდა.

რანაირი ხასიათის გაზეთებიც უნ-
და აგელოთ ხელში ამ ერთი თვის
განმავლობაში, ყველგან მომავალ
ომიანობაზე იყო ლაპარაკი, რასა-
კვირეგლია, მიზეზისგანმარტებით, და
იმაზე თუ რას ფიქრობს დანარჩენი
მეროპა. თქმა არ უნდა, რომ ომი
თუ ატყდებოდა, უნდა ატეხილიყო
საფრანგეთსა და ბერძნის შუა.

წინა წერილში გწერდით დაახლო-
ებოთ მიზეზებს, თუ რისთვის და რა
სარგებლობისათვის სცილობს ბის-
მარკი შფოთის ატეხას და ხელ-ან-
ლად საფრანგეთის დამარცხებას; და
ამისთვის ეხლა საჭიროთ არ ვბოვებ,
რომ განვიფორო, რადგანაც ეს მი-
ზეზები თქვენმა მკითხველებმა უნდა
იცოდნენ.

მეროპის დამამშვიდებელათ და
მშვიდობიანობის გენიოსათ ამ უკა-
ნასკნელ წლებში რუსეთის იმპერა-
ტორი ითვლება და, როგორც ამბო-
ბენ, ეხლაც მანვე დააწყნარა და
დაამშვიდა სისხლის ღერის მოყვა-
რებიო. მხლანდელმა მისმასტუმრო-
ბამ ბერლინში საქმე სულ სხვანაი-
რთ გადატრიალდა.

რაც უნდა იყოს, ეხლა ჩხუბზე,
ომიანობაზე ლაპარაკი მიწყნარდა და
ვისურვოთ, რომ შემდეგშიაც ის პი-
რები, ვისიც ხელშია ამ ჟამად ქვე-

ყნის ბედი, ასე ქვეყანათ მოქცეუ-
ლიყენენ; ვისურვოთ, რომ კაცობრი-
ობამ, სისხლის ღერისა, ერთმანეთის
დახოცვისა და სხვა და სხვა იარაღე-
ბის მოგონების მგვირ, რომელთა და-
ნიშნულება არის რაც შეიძლება
უფრო ბევრი დახოცონ, ერთმანეთი
ძპურ დამოკიდებულებაზე, ნამდვილ
პროგრესზე, მშვიდობიანობაზე იფი-
ქროს.

11-ს მაისს, ამ კვირის სამშაბათს,
დაიწყო მერსალის ნაციონალური
პრების სხდომები. შესანიშნავი გა-
დაწყვეტილება ჯერ არაფერი მოუხ-
დენიათ, მხოლოდ საზოგადო ამორ-
ჩევაძღის მოსპეს დეპუტატების ცალ-
ცალკე ამორჩევა იმ დეპარტამენტებ-
ში, სადაც წარმომადგენელი აკლიათ.

ბუშინწინ თინანსთ მინისტრმა
შეიტანა კრებაში ბიუჯეტის პროექ-
ტი 1876 წლისათვის. ამ პროექ-
ტიდან სჩანს, რომ გაისისათვის სა-
ხელმწიფო გასავეალი შემოკლებუ-
ლია თითქმის სამოც მილიონამ-
დის. წლიური ბიუჯეტი ორი მილ-
ლიარდი და ექვსასი მილიონი ფრან-
კი. მარტო სახელმწიფო ვალების
დასაკმაყოფილებლად და სფინანსო
სამინისტროს ხარჯს შეადგენს ერთი
მილიარდი და ხუთასი მილიონი
ფრანკი: სამხედრო სამინისტროსა-
თვის—ხუთასი მილიონი ფრანკი,
და სახალხო განათლებისათვის თი-
თქმის ასი მილიონი ფრანკი და
დანარჩენი განაწილებულია სხვა სა-
მინისტროებ შორის.

ზრანცუზებისთანა ახირებული ხალ-
ხი არ მინახავს ჩემ დღეში; ისე უ-
ბრალოთ ატეხენ შფოთს, რომ არც
ღეთისაა და არც კაცისა. პი ერთს
სასაცილო საქმეს მოგახსენებთ:

შველა სახელმწიფოებში ჩვეულებ-
ბათ არის მიღებული, რომ სასამართ-
ლოებში ქვეყნის მართველის, სურათი
უნდა იყოს კედელზე ჩამოკიდებუ-
ლი. საფრანგეთშიაც ასე იყო ამდენ
ხანს. მხლა რაც კანონიერ მართე-

ილობთ დამტკიცდა რესპუბლიკა,
ამისთვის ბევრმა მუნციბალურმა კრ-
ებებმა გადაწყვიტეს, რომ მათს სასა-
მართლოებში რესპუბლიკის წარმო-
მადგენლის სურათი ანუ ბიუსტო-
უნდა იყოს. მმართველობას კი თა-
ვის მხრით გაუგზავნია რესპუბლიკის
პრეზიდენტის მაკ მაჰონის სურათი
ზოგიერთი პრეფექტებისათვის მერი-
ებში დასარიგებლათ. მს სურათი
წარმომადგენს თურმე მარშალს მაკ-
მაჰონს თავის ღენერლის ტანისამოს-
ში ებოლეტებით და ჯვრებით; ქვე-
ით ამ სურათზე აწერია: „მარშალი
მაკ-მაჰონი, მ.ჯენტის ღერცოგი, სა-
ფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენ-
ტი“.

აქ სადავო რა უნდა იყოს? არა,
ჟურნალებმა გაცხარებული პოლე-
მიკა ატეხეს. მონარხიული გაზეთები
ამბობენ, მართველობამ კარგი ჰქნაო,
რომ მაკ-მაჰონის სურათი გაუგზავნა
სასამართლოებსო: მისი ებოლეტები
და ჯვრები უფრო საპატივცემულო
და საშიშარი არისო უბრალო კაცი-
სათვისო, ვინემ რესპუბლიკის წარ-
მომადგენლის ქალის სურათიო. პას
აპყენენ რეპუბლიკური გაზეთები და
ერთი მათგანი „Le Temps“ წინააღმ-
დეგ ამისა აი რას სწერს: „მაკ მაჰო-
ნი არ წარმომადგენს ნამდვილს ქვე-
ყნის წარმომადგენელს, ის მხოლოდ
კანონების სისრულეში მომყვანი და
დამცველია და არა კანონმდებელი;
ამისთვის საჭიროა, თუ სურათები
გაიგზავნა, მაკ-მაჰონის სურათთან
გაიგზავნოს ნაციონალური პრებისა
და სენატის პრეზიდენტების სურა-
თები, ერთის მაგიერ სამი. ჟოველ-
თვის მაკ-მაჰონი ხომ არ იქნება
პრეზიდენტათ, შეიძლება მის შემდეგ
იქმნეს ისეთი პირი, რომელსაც არა-
თუ ჩინი და ჯვარი, უბრალო მენდა-
ლიც არ ჰქონდეს, მაშინ მონარხიული
გაზეთები რას იტყვიან?“

ამაზე არის ეხლა ერთი წერა და
ვაი-ვაგლანი!...

დ. დ.

პარიჟი, 16 (4) მაისს

სამართალი

თუმცა გვიან არის, მაგრამ გწერ-
ებთ, რომ წასული თვის 26 ს. მო-
რას მომრიგებელ სასამართლოში
თფილისის ოლქის სასამართლოს
წევრებმა განარჩიეს საქმე მაჩაბლისა,
რომელსაც ორი ძმის სიცოცხლე-
ბის ერთად მოკვლას აბრალებდნენ.
მოწმები სულ ოცდასამზედ მეტი
იყო, და სულ ყველამ მაჩაბლის სასარ-
გებლოთ აჩვენეს თუმცა ბევრი ცხა-
დათ ამბობენ აქ, რომ მაჩაბელი
ამ ორის კაცის მკვლეელიაო. სხდომა
დაიწყო დილის ცხრაზედ და გათავდა
ნაშუადღეის ოთხ საათზედ.
ოლქის სასამართლომ განათავი-
სუფლა მაჩაბელი...
ბევრი ლაპარაკი იყო აქ ამ საქ-
მეზედ...
თეოფ. ძანდელაქი

ზორი, 13 მაისს.

განცხადება

უ. ახვლედიანის და ვარლ-
ამონის სარქიმო სარდაშვი, ისყი-
დება შემდეგი ნაწარმოები:
ქარაკი — გირფანქა — 50 კაპ.
ნაღები — — — — — 40 —
სჭეტანა — — — — — 30 —
შველი — — — — — 15 —
ტეროგი, ხაჭო — — — — — 10 —
რძე — — — — — 5 —
მაწონი — — — — — 5 —
სარდაფი იყოფება პრეენის მაც-
დანზე, სეპინარიის პირ-და-პირ, მან-
დენოვის სახლებში.
(5-4)

„დროების“ ფოტო

— ნ. კ — ს. ა — ს. თქვენი შენიშე-
ნა შემდეგ №-ში დაიბეჭდება. თქვენგან
გამოგზავნილს წერილს მ — დამ ჩვენის
მხრით არავითარი დაბრკოლება არ ექნება...
— დ. დ — ს. კ — ს. შველა თქვენგან
გამოგზავნილი კორრესპონდენტები დაიბეჭ-
და, ერთს გარდა, რომლის დაუბეჭდევლობა
ჩვენი ბრალი არ არის.
— ი. კ — ს. მ — ს. სანამ სტატია არ
გვინახავს, როგორ შევიძინო ჩვენი პაზრი
ესთქვით. გამოგზავნეთ...
— შადაგების ავტორს. თქვენი ქადაგე-
ბა, თუმცა კარგია, მაგრამ გაზეთში ვერ
დაიბეჭდება, სხვა და სხვა მიზეზების გამო.

მ ა რ თ უ ლ ი ამ ადგილას გამოხატულია გ ა ზ ე მ თ ი
ცხენზე მჯდომი წმინდა 1821 წელსა.
ბიორგი.

№ 36

უცხო ქვეყნის ამბავი:
გერმანიიდან.

ვენით. 23 იენისს. ვალახიდან მოვიდა სარწმუნო ამბავი, რომ ჯა-
რი ლატერიტთა 2.000 კაცა გაგზავნილი კნიაზ იესილანტისაგან ფოკშან-
ტზედ და ლალატზედ სრულებით დამარცხებულა და გაბნეულა ბუჭყერ-
სთან ჯარისაგან ბრაილოვის უსუფ ფაშისა.—კნიაზ კანტაკუზინი, რომე-
ლიც იყო ამ ჯარის უფროსი, მორჩა გაქცევიდა მოლდავიში.—დანარჩენ-
ნი ამ ჯარისა ორასის დაჭრილის კაცით მობრუნდნენ ტერლოვიშტის ვა-
რემოებში, სადაც არის საზოგადო შიში და განწირულება, როგორც ამ-
ბობენ იქილამ მოსულნი.—ამასობაში მეორე ერთგული იესილანტისა კა-

პიტანი იორლაკი, რომელიც გავიდა პიტეშტიდან 500 არნაუტით, დასწია
სლატინში სამოც და ათს ოსმალს, ზოგნი დაუხოცია და ზოგნი გაუბნე-
ვია.—დაუწვამს ეს ქალაქი და დაბრუნებულა ისევ თავის უწინდელს ად-
გილს პიტეშტს, რომელიც სრულებით დაცლილია მკხოვრებთაგან, რო-
გორც ეს ქალაქი, აგრევე სხვანაცა. არლიოსი, რინიკი, ტარლასკილი და
სხვანი.

ალტის მდინარის მარჯვენას მკარეს ვაიარეს ოსმალის ჯარმა რომე-
ლიც არ იყო მრავალი და ბივიდნენ რეურენამდნ, რომელიც არის რიმ-
ნიკის მახლობლად, მაგრამ მასუკან ისევ გაბრუნდნენ კრაიოს, სადაც გროვ-
დება უპირველესი ჯარი ვიდღინის ფაშისა.—ამათ დაუჭერიათ მონასტერი
მოტრუ სკილლას მდინარეზედ, რომელიც არის იქილამ სამი საათის სავა-
ლი.—მთელი გზა ბუზრესტა და აესტრიის სამზღვარს შუა შეკრულია პ.
იენისადამ.—ამ ქალაქილამ მოვიდა ამბავი, რომ რაც ღეტერისტები დაუ-
ჭერიათ გარშემოებში, ცოცხლები აუგიათ შუბებზედ.—ამ უწყალომ დას-
ჯამ განადგინა იქაურს ბერძნებში საზოგადო შიში, მაგრამ იმათ ველარ
შესძლებოდათ გაქცევა.—მდიდარს ქრისტიანებზედ, რომელთაც ჰრაცხვენ
იესილანტის ერთგულებად მოუგრობიათ დიდ ძალი თეთრი.—ბუზარესტში
ფიქრობენ, რომ სიახლოვის გამო მალე მოხდება გარდაწყვეტილი ომი
ღეტერისტებსა და ოსმალებში.—

ბერძნების ზღვის ჯარის, როგორც ამბობენ, არის 250. სამხედრო
ხომალდი დიდ და პატარა; ეს გაყოფება 4. ესკადრად.—ამათი ერთი და-
დის პელოპონესის ზღვის პირებში, მეორე ტენედოს დარდანელის წინ და
მესამე კანდიისა და კაპრიის შუა დასაფარმელად ციკლადის კუნძულები-
სა.—მეოთხე და უმთავრესი შესვენებული ესკადრა, რომლისაგანაც სხვა-
ნი ყოველნივე მიიღებენ ბრძანებათა, იმყოფების იდრიას და ფსარს შუა.—
ამ კუნძულებში მოუდისთ ოსმალთაგან წართმეული ხომალდები.

ლიგორნოდამ იწერებინა ვ. ამთვის, რომ იქ მისულა გავზენილი კაცი ვალახის ყოფილს მთავართან ამბითა, რომ ბერძენის ხომალდებს ჰქონათ ძლიერი ომი და ბოლოს დროს დაუჭერათ დარდნელის შესავალი. — მარტო შეიდი ხომალდი იმათი დანტქმულა ზღვაში ოსმალების ციხეებდამ, რომელნიც არიან გაღმა გამოღმა იმ შესავალზედ — ეს ხომალდები წასულან მასუკან ლამასკოსა და კანპოლისაკენ, იქილამ შევლენ მარმარილოს ზღვაში და დაიწყებენ სიარულს კონსტანტინოლის წინ. —

თრისტიდამ. 10. იენისს, ჩინებულმა ალი ფაშამ გაჰყო თავისი სალარი სამად. — ერთი არის შენახული ტეველინს ფასით 150 მილიონის ფრანკისა, მეორე 30 მილიონისა და მესამე რომელიც არის არლიკასტრისა, 50 მილიონისა. — იმისმა შეიღმა ველი ფაშამ მოიტანა მთელი თავისი სალარი მალთას კუნძულში ანგლიის ხომალდით. — ამან დანიშნა რომ თუ მოკვდეს ისი და იმისი შვილები, რომელნიც არიან ტყვედ აზიასში შემკვიდრედ იქნება ანგლიელი ღვინო მთავარი სირ ადამსი. — მარტო ნალდ თეთრი მალთას გავზენილი, არის 6,000 ქესა — ოსმალებმა ჰსთხოვეს ეს თეთრი ვითარც შესახვედრი ხონტქრის ხაზინისა, მაგრამ ღვინოლმა შეუთვალა გარდაწყვეტა უარი.

ოსმალის ქვეყნიდამ

მოლდავიის სამზღვრიდამ. 10. იენისს. აქ მოვიდა შემდგომი ამბავი გზავრებისაგან, რადგანც ყოველივე ფოშტის გზა შეკრულია: — როდესაც იფაილანტის მეუტყვია უსიამოვნო ამბავი მოლდავიისა, მაშინ გაუგზავნა იაშას კნიაზ გიორგი კანტაკუზინი 1,000 კაცის ჯარით. — იფაილანტის გამოუცია ტერლოვიშტში 6. მაისს პრაკოპამაცია ბერძენთადმი იაშელთა და მოლდავიელთა. — ის უწოდებს კნიაზ კანტაკუზინს თავის მოადგილეთ, და აძლევს იმას მრავალს სრულ შემძლებლობასა. — ლალაცის ომის შემდგომად ბრაილოვის სერასკარი აღარ აპირობს ბრძოლას. — ცხენიანი ჯარი, რომელთაგანც ერთმა მისცა მიზეზი ახლო ხანს ფოკშანში ბრძოლისა არ არიან იმისი შესახვედრი; და ამ ბრძოლაში გამარჯვებას ზოგნი მიაწერენ ოსმალთ და ზოგნი ბერძენთა — თუ გამართლდა ამბავი, რომ ბერძენების მისაშველებლად შესულა იაშას 2,000 კაცი, მაშინ სრული ჯარი მოლდავიისა შეიქნება ახლა 3,600 კაცი.

ოსმალის სამზღვრიდამ.

13. იენისს. იზმირში გამოდის რომლისამე ჟამილამ ყოველს კვირას ფრანციულს ენაზედ გაზეთი. — ამის უკანასკნელს ფურცელში 19 მაისს არის შემდგომი ამბავი: იზმირის მცხოვრებნი რამდენსამე დღეს იყვნენ დიდად გაჭირებულს შეწუხებაში. — თითქმის ყოველს მინუთს მოვლოდნენ დანაკასა ყოველთავე აქაურთ ქრისტიანეთასა. — მაგრამ ბედნიერებით მოვიდა აქ ფაშა, რომელმაც მრთელის კეთილ გულის კვირებით და დიდსულობით უკუნაქცია ეს სამწუხარო ჰაზრი. — სიმაართლე მოითხოვეს ვთქვათ, რომ პატივცემული მოქალაქენი მუსულმანთ სარწმუნოებისანი არ ერივნენ ამ ჰაზრში. — ახლა მიღებულ არიან ყოველივე ღონისძიებანი აღსადგინებელად სანიადავოს მშვიდობისა და განსვენებისა. — გუშინ მოვიდა აქ თათარი კონსტანტინოპოლიდამ, რომელსაც გამოუვლია გზა სამს დღეში. — ის ქალაქი კელ ახლა დამშვიდებულია და ხონტქარი გასულა ერთ საზაფხულს სასახლეში. — ძლიერი ოსმალის ჯარი შესულა მორეაში და დაუჭერია მრავალნი ჩინებულნი ადგილნი ამ ნახევარ კუნძულში. — ნეგრეპონტში მომხდარა აგრევე აღშფოთება, მაგრამ ოსმალნი დაკეტილან ციხეში და მოსვენებით მოვილან მიშველებელთა დასამშვიდებლად მეფეთართათა. — სამი ათასი ოსმალთ, რომელთაც მიუძღისთ ფაშა, მისულან მიტელინში, სადაც დამდგარან ამ გვარად, რომ თვითოეული ბერძენის სახლის არის ორს სახლს შუა საოლათებით ავხილსა. — ამბობენ რომ აღშფოთებულნი კუნძულის მცხოვრებნი წასულან ზღვით ტენედოსისკენ, რომ იქ შემოეყარნენ ოსმალის ხომალდებსა და შეებნენ.

შერთული ამბავი

დღესასწაულობითი ცერემონია ანგლიის კოროლის დაგვირგვინებისა, გარდახდელ იქმნა 19 იენისს, და მასთანავე ესრეთითა დიდმშვენნიერებითა,

რომლისაც მაგალითი არ იბრუნება ისტორიათა შინა დიდის ბრეტანისათა. — ამბობენ რომ ამ ცერემონიაში მომხდარი ხარჯი იყო 2,200,000 ფუნტი სტერლინგი.

აღწერა ანგლიის კოროლის დაგვირგვინებისა 19 იენისს. კოროლი მოვიდა ზალაში 10 საათს. იმას ეცვა დიდად მშვენნიერი და მძიმე ტინისამოსი და თავზე ეხურა შავი შლიაპა დიდ ჯილიანი. — ტინისამოსის სიმძიმე აწუხებდა მას და კვირად იწმინდა ოფლსა პირზედ ხელსახოცითა. — კოროლის სამკაული მოიტანეს და დააწყეს იმის წინ დიდსტოლზედ. — ეს სამკაულები არის: გვირგვინი და კვერთხი წმიდის ელფარდისა. ორი სკიპტრა, ხალი, ღვებები, ქვეყნის ბურთი, ორი სამღვდლო ქურჭული და დაბადება. — აქედამ წაიღნენ საბბატოსკენ. — პრინცი ლეოპოლდი და ხუთნი ღეროვანი მიდიოდნენ წინ და თვითოეულს ეჭრა კალთა მანტიისა თავისის წინ მიმავლის, და უკანასკნელის კალთა ეჭრათ უშალღესთა მსაჯულთა შოტლანდიისა და ირლანდიისათ. — იმათ უკან მიდიოდა კოროლი საღმრთოებს ქვეშ, რომელიც ეჭრათ 16 ბარონთა. — კოროლის მანტიის კალთა ეჭრათ 8 პერთა და იმის ორსავე მკარეს მიდიოდნენ ორნი ეპისკოპოსნი. — ზალიდამ საბბატომდინ ხალხი ულოცვედა კოროლს მალის კმითა. — მეთორმეტს საათს მივიდნენ ეკლესიაში, სადაც გარდაიხადეს შემდგომი ცერემონიები: 1. აღსარება. ეს იყო წერილი, რომელსაც კითხულობდა არხიეპისკოპოსი კანტერბურისა ოთხს ადგილს, და თვითოეულის საკითხავის დასრულებასზედ ერი დაიძახებდა: დმერთმან დაიცვას კოროლი გიორგი მეოთხე — მაუსკან დაიწყო საკრავი. — 2. მსხვერპლის შეწირვა. — ეს იყო ძვირფასი ვადსახურავი საკურთხეველისა და ოქროს ზოდი, რომელნიც კოროლმან მისცა კანტერბურის არხიეპისკოპოსს — მასუკან იორკის არხიეპისკოპოსმა წარმოსთქვა შესაფერი ქადაგება. 3. ფიცის. — კოროლი ამბობდა ფიცსა, რომელსაც კითხულობდა კანტერბურის არხიეპისკოპოსი; კოროლი იყო დიქორი და ხელი ედგა დაბადებაზედ. — 4. მირონისცხება. — რომელიც აღსრულა ამავე არხიეპისკოპოსმა, ჰაცხე თავსა და ორთავე კელთა კოროლისათა ჯვარის სახედ. — მასუკან ჩააცვეს კოროლსა გვირგვინის ტინისამოსი, და მასუკან ქმნა დაგვირგვინებაცა. — არხიეპისკოპოსმა პირველად აკურთხა გვირგვინი წმიდის ელფარდისა და მასუკან დადგა იგი კოროლსა — ზარბაზნის სროლამ და საკრავებმა შეატყობინეს ხალხსა გარდა და ამ დღესასწაულობის ცერემონიისა. — მასუკან არხიეპისკოპოსმა დაიჭირა ხელში დაბადება, და წაიკითხა კოროლზედ კურთხევა და ამან აკოცა შუბლზედ როგორც იმას, აგრეთვე სხვათა ეპისკოპოსთა. — შემდგომად სამადლობელის პარაკლისისა, კოროლი რადგანც იყო დიდად დაღლილი, დაჯდა ტრონზედ — იქ შეჭფიცეს იმას პირველად სამღვდლოთა პერთა, რომელნიც აკოცებდნენ კოროლსა მარცხენას ლოყაზედ, და მასუკან ყოველთავე პრინცთა სახლისა მისისათა და ყოველთა საეროთა პერთა, რომელთაც მიუძღებოდა ღეროვანი იორკისა. — თვითოეული წარმოსთქვამდა ფიცსა სდარქებული. — ღეროვანი იორკისა შეეხა გვირგვინსა, და სხვანი აკოცებდნენ კოროლსა მარცხენას ლოყაზედ. — 5. კოროლი ეხიარა წმიდითა საიდუმლოთა, რომელიც მოართვა კანტერბურის არხიეპისკოპოსმა, და დიქანმა ვესტმინსტერისამან, და შემდგომად კანოლმა გაჰოიცვალა ტინისამოსი და გაბრუნდნენ საბბატოილამ უწინდელის რიგით. — კოროლი მიდიოდა თავზე გვირგვინით, ერთ კელში სკიპტრით და მეორეში ქვეყნის ბურთით და ერი მიულოცვიდა ყოველის მკრიდამ მალის კმით. — მედლებს, რომელნიც მოეჭრათ ამ დღისათვის, ფანტებდნენ ერსა შორის. — დასვენების შემდგომად რომელიც გაგრძელდა ორ საათს, დაიწყო მიჯლისი ვესტმინსტერის ზალაში. — როდესაც შეიტანეს მეორე საქმელი, შემოვიდა ზალაში ცხენიანი კოროლის მხედარი და გამოითხოვა მოპირდაპირე. — გროდესაც ეს გავიდა ზალიდამ, მაშინ სამს ადგილში ჰსთხავეს კოროლის ტიტული სამს ენოზედ ლათინურად, ფრანციულად და ანგლიურად. — იორკის ღეროვანმა დაიწყო სადღევრძელო კოროლისა და ღეროვანმა ნორფოლკმა გამოუცხადა მადლობა კოროლის სახელი მასუკან კოროლი წარბძინდა ქვემოს პარლამენტის ორატორის სახლებში. —

სალამოს გაღებული იყო 9. თეატრი სზოვადობისათვის უფასოდ და ღამე მრავალნი სახლნი იყვნენ განათლებულნი და ღვიდპარკში იყო ცეცხლის სათამაშოები, სადაც მარტო კონგრეგაციის შუშუნა მოხმარდა 3,000. —

რპ. ზზა.	ლილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გეგმა	ფოშტა	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
მფილისი	11 18	8			ა) შოთილამ:	ა) მ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:	პეტერბურგი, 17 მაისს.		მფილისი, 20 მაისს	
მცოთა	18 87	10			მდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფო.	1 20
ბორო	91 39	1 43	2	68 - 38	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., მზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშუფ. და შაბ. ბაქეთს — სამშ. და შაბ.	ლონდონში 33 1/2 ჰენსი.	84	ჭერი ფუთი.	60
სურამი	1 52	4 30	3	92 2 18	ბ) სოხუმიდამ:	შოთს — სამშაბთს, ღამით.	პარიჟში 348 სანტიმი.	89	ბაბა მრენისა, ფუთი	4 50
ბეჭათუბანი	3 45		4	42 2 46	შოთის — სამშაბთს, ღამით.	მდესას — კვირას, გათენებისას.	მსკონტი (სარგებლობისთვის)	9	— ამერიკისა, ფუთი.	6 65
შვირილა	6 49		5	81 3 23	შოთილამ:	სოხუმში	ბანკის ბილეთი 5%	100	ბაპენტილი ბაბა ფო.	8 —
მუთაისი	7 55		6	75 3 75	I II III	მფილისისა და შოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის — ოთხშაბ.	მოგებიანი (პირველისთვის)	206 75	მატული თუშური ფო.	6 50
სამტრედია	9 2		7	73 4 29	სოხუმში	შოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის — ოთხშაბ.	მოგებიანი (მეორე სესხი)	202 50	— თარაქამისა ფო.	3 60
პნ.-სენაკი	10		8	57 4 76	ჭერჩამი	გ) ბ ო რ ი დ ა მ:	ბ-როოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუშური გრ.	2 60
შოთი	11		9	75 5 42	ტაგანოვ.	შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	მფილ. საზნ. ბანკისა.	88 17	ჭონი, ფუთი.	4 —
შოთი	7 38				მდესამი. 38 " 30 " 9 60	დ) შ ო თ ი დ ა მ:	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88 17	ჭონის სანთელი ფუთი.	5 60
პნ.-სენაკი	9 11		1	118 - 66	ტელეგრაფი	შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოსკოვის (5%)	86 50	სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია	10 12		2	61 14	მცი სიტყვა მფილისილამ:				ხორცი ძროხისა, ლიტ.	— 60
მუთაისი	11 17		3	41 69	მუთაისს, შოთს		აქ ც ი ე ბ ი:		— ცხენისა, ლიტრა	— 70
შვირილი	12 38		3	98 2 21	ბორს, ღუშეთს, სიღნაბს		მდესის სავაჭრო ბანკის.	222 —	სპირტი, ვედრო.	7 —
ბეჭათუბანი	3 27	ლაპე	5	33 2 96	როსტოვს მდესას მოსკოვს		შოთი-მფილ. რკინ. გზის	133 —	შაქარი, კარგი ფუთი	8 45
სურამი	4 57	12 30	5	84 3 24	პეტერბურგს, მარშავას		შვიგლის ცეცხ. გემების	560 —	— ფხენილი ფუთი	6 90
ბორო	7 23	3 31	7	36 4 9	მსპალეთში, შევიცარიაში		ბანკის და მერკურის	168 —	შავა გრვალის ფუთი	18 50
მცხეთა	9 52		9	8 5 4	იტალიაში და საფრანგეთში.		პირვ. საზღვევ. საზოგ.	665 —	ხეთი ქუჩულისა ფო.	6 50
მფილისი	10 49	8	2	9 75 5 42	ინგლისში.		პეტერბ. საზღვევ. საზ.	263 —	მჭკო 1/2 იმპერიალი.	5 85